ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №4

დაბა ხულო

ერთის მხრივ, ა(ა)იპ."ხულო-თაგოს ბაგირგზა"(დაბა ხულო მემედ აბაშიძის ქ.N29" დირექტორის ემზარ აბულაძის სახით შემდგომში (`შემსყიდველი~) და მეორეს მხრივ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია" მისი უფროსის ირაკლი ლოჩოშვილის სახით (შემდგომში`მიმწოდებელი~) `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის `ს'~ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დაბა ხულოში არსებული „ხულო-თაგოს საბაგირო გზის" ბაგირის შემოწმება გონდოლის გარეშე (CP7160000) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1635,35 (ათას ექვსას ოცდათხუთმეტი ლარი და 35 თეთრი) .

2.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განისაზღვრება დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და კომუნალურ გადასახადებს.

2.4. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ"ხულო-თაგოს ბაგირგზის" დირექტორი ემზარ აბულაძე

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშვალებებით და სხვა სამუშაო პირობებით იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 4. საქონლის შესაბამისობა და მიღება-ჩაბარება

4.1. გაწეული მომსახურეობა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს.
4.2.4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახედვის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურეობა ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
4.3. თუ გაწეული მომსახურეობა არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
4.5.გაწეული მომსახურეობის შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ,"ხულო-თაგოს ბაგირგზის" დირექტორი.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ- საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2.შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდებისას.
ბ)მომსახურეოების მიწოდების დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებლის ანგარიშსწორება.
გ)მიმწოდებელს აუნაზრაურეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, მომსახურეობის მიწოდების დასრულებისთანავე;
დ)მიიღოს ზომები და გამოყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოფს მომუშავე პერსონალის უსაფრთხოებას და მიმწოდებლის აპარატურის დაცვას დაზიანებისაგან, შექმნის სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ პირობებს.

5.3.შემსყიდველს უფლება აქვს:
ა)განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
5.4.მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ)დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა)მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურეობის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს მომსახურეობის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა მომსახურეობა ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ)თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხელოს გადახდა 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4.იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხელოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.5. ჯარიმისა და პირგასამტეხელოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არა ჯეროვნად შესრულების, ან პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7.წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ.

მუხლი8.მომსახურეობის გაწევისა და ხელშეკრულების ვადა

8.1. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე და სხვა ისეთი გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების შესრულებას.

9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რამაც ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 10. სადაო საკითხის გადაწყვეტა

10.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი11. გადასახადები და ბაჟები

11.1.მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

მუხლი 12. გარანტია

12.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გამოასწოროს წუნდებული მომსახურეობა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

12.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების გაწევის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 13. შეტყობინება

13.1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაეგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით. ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. ყველა სხვა საკითხი, რასაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლიარი მიმწოდებელს, ხოლო ორი ეგზემპლიარი -შემსყიდველს.

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ“ხულო-თაგოს ბაგირგზა“
მის.: დ. ხულო მ.აბაშიძის ქ.N29
ს/კ 248056623
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ: TRESGE22

ა(ა)იპ“ხულო-თაგოს ბაგირგზა“-ის
დირექტორი: ემზარ აბულაძე

(ხელმოწერა)

KHULO-TAGO ROPEWAY
Digitally signed by KHULO-TAGO ROPEWAY
Date: 2019.07.19 10:34:26 +04'00'

„მიმწოდებელი“

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ლაბორატორია
მის: ქ. ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა N 90ა
ს/კ 245638029
„სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კ TRESGE22
მიმღების ან/ სახაზინო კოდი-743037519
უფროსი: ირაკლი ლოჩოშვილი

(ხელმოწერა)

LEPL - TECHNICAL AND CONSTRUCTION LABORATORY
Подписано цифровой подписью: LEPL - TECHNICAL AND CONSTRUCTION LABORATORY
Дата: 2019.07.19 11:16:44 +04'00'

დანართი N 1

N	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ღირებულება (ლარი) დღგ-ს ჩათვლით
1	საბაგირო გზის ბაგირის შემოწმება გონდოლის გარეშე	1500
	სულ	1500

1 სამუშაოს ღირებულება 1500

2 სამივლინებო-სატრანსპორტო ხარჯი დღგ-ს ჩათვლით 135,35

3 სულ სახელშეკრულებო თანხა 1635,35

დამკვეთი:

ა(ა)იპ „ხულო-თაგოს ბაგირგზა“

დირექტორი

ემზარ აბულაძე

KHULO-TAGO ROPEWAY

Digitally signed by KHULO-TAGO ROPEWAY
Date: 2019.07.19 10:35:17 +04'00'

შემსრულებელი:

სსიპ.ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია

უფროსი

ირაკლი ლოჩოშვილი

LEPL - TECHNICAL AND CONSTRUCTION LABORATORY

Подписано цифровой подписью: LEPL - TECHNICAL AND CONSTRUCTION LABORATORY
Дата: 2019.07.19 11:13:58 +04'00'